**საქართველო**

**სააქციო საზოგადოება**

**"სს გრინ დაზღვევა საქართველო" (ს/ნ 404990435)**

**საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ა. კალანდაძის ქ. №4**

**შეტყობინება**

**სააქციო საზოგადოება "სს გრინ დაზღვევა საქართველო"-ს აქციონერთა მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ**

ძვირფასო აქციონერებო,

სააქციო საზოგადოება "სს გრინ დაზღვევა საქართველო" (შემდგომში – „**საზოგადოება**“) გატყობინებთ აქციონერთა მორიგი კრების (შემდგომში - „**კრება**“) მოწვევის შესახებ 2026 წლის 27 მარტს შემდეგი დღის წესრიგით:

1. საზოგადოების წლიური შედეგების და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;
2. 2026 წლის 6 თებერვალს გამართულ კრებაზე განხილული და დამტკიცებული დივიდენდის ოდენობების დაზუსტება საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

"კრება“ მოწვეულია გენერალური დირექტორის მიერ ,,საზოგადოების“ წესდების 7.1 პუნქტის შესაგებისად, სამეურნეო წლის დასრულებიდან (2025 წლის 31 დეკემბერი) 3 თვის ვადაში.

**საერთო კრების მოწვევის ფორმა:**

საერთო კრება მოიწვევა "სს გრინ დაზღვევა საქართველო"-ს მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე მიკუთვნებულ მეწარმის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე და "სს გრინ დაზღვევა საქართველო"-ს ვებ გვერდზე www.greenig.ge გამოქვეყნებით.

**აქციათა რაოდენობა და ხმის უფლება:**

<u>აქციათა რაოდენობა:</u>

საერთო კრების მოწვევის თარიღისთვის "სს გრინ დაზღვევა საქართველო"-ს აქციათა საერთო რაოდენობა არის 10 051 059 ცალი, საიდანაც 4 051 059 არის B კლასის აქციათა ჯამური რაოდენობა, ხოლო 4 350 000 არის A კლასის აქციები, დანარჩენი 1 650 000 განეკუთვნება AA კლასის აქციებს.

<u>ხმის უფლება:</u>

საზოგადოებსი წესდების 3.2 პუნქტის მიხედვით A კლასის 1 (ერთი) აქცია უზრუნველყოფს 1 ხმის უფლებას. სს მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია-ს ს/კ 404392359 აქვს A კლასის 4 350 000 აქცია, შესაბამისად: ამდენივე ხმა.

საზოგადოებსი წესდების 3.2 პუნქტის მიხედვით AA კლასის 1 (ერთი) აქცია უზრუნველყოფს 15 ხმის უფლებას. სს მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია-ს ს/კ 404392359 აქვს AA კლასის 1 650 000 აქცია, შესაბამისად: 24 750 000 ხმა.

საზოგადოებსი წესდების 3.2 პუნქტის მიხედვით B კლასის 1 (ერთი) აქცია უზრუნველყოფს 1 ხმის უფლებას. სს მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია-ს ს/კ 404392359 აქვს B კლასის 3 770 000 აქცია, შესაბამისად: ამდენივე ხმა, ხოლო სს მეტრო ატლას ჯორჯია-ს ს/კ 445406631 აქვს 180 000 აქცია და შესაბამისად, ამდენივე ხმა. სს მეტროქონსტრაქშენ-ს ს/კ 445464970 აქვს 100 000 აქცია შესაბამისად: ამდენივე ხმა, სს გალტ ენდ თაგარტი-ს (GT Nom) ს/კ 211359206 აქვს 699 აქცია, შესაბამისად: ამდენივე ხმა. შპს აბბი ასეტ მენეჯმენტი-ს (AbbeyNom) ს/ნ 205207970, 360 აქცია და შესაბამისად, ამდენივე ხმა.

აქციონერთა კრებაზე მოწვეულია 10 051 059 ცალი ხმის უფლების მქონე აქცია (33 151 059 ხმა).

საერთო კრების ჩატარების ფორმა არის ფიზიკური დასწრება, კრებაზე ხმის მიცემა განხორციელდება ღია კენჭისყრით ფორმით

**"კრების“ სააღრიცხვო დღე:**

საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განსაზღვრულია 2026 წლის 5 მარტი.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 192-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „კრებაში“ მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც „კრების“ სააღრიცხვო დღისთვის ფლობდნენ „საზოგადოების“ აქციებზე საკუთრების უფლებას.

**კრების ჩატარების წესი:**

კრება ტარდება წინამდებარე შეტყობინებაში მითითებულ მისამართზე და დროს.

აქციონერთა საერთო მორიგ კრებას ხელმძღვანელობს "სს გრინ დაზღვევა საქართველო"-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი გენერალური დირექტორი, მათი არყოფნისას  კრების თავმდჯომარეს ირჩევს საერთო კრება.

**კრებაში მონაწილეობის წესი:**

საზოგადოებსი წესდების მუხლი 3.2-ის მიხედვით კრებაში მონაწილეობას იღებს A, AA და B კლასის აქციონერები.

**„კრების“ ჩატარების ადგილი:** საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ა. კალანდაძის ქ. №4.

**„კრების“ ჩატარების დრო: 12:00 სთ** ადგილობრივი დროით.

**„კრების“ მონაწილე პირთა რეგისტრაციის დაწყების დრო: 11 საათი და 30 წუთი** ადგილობრივი დროით. „კრების“ მონაწილე პირთა რეგისტრაცია ხორციელდება „კრების“ ჩატარების მისამართზე. აქციონერი, რომელმაც რეგისტრაცია არ გაიარა, კვორუმის განსაზღვრისას არ გაითვალისწინება და მას არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

**„კრებაში“ აქციონერთა მონაწილეობის, კენჭისყრის ფორმა და წარმოსადგენი დოკუმენტაცია:** „საზოგადოების“ წესდების მე-7 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, „კრება“ ჩატარდება აქციონერების ან მათი წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობის ფორმით; გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის ფორმით. აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და კრებაზე წარმოდგენილი აქციათა რეესტრის მონაცემების საფუძველზე.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 193-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „კრებაზე“ წარმომადგენლის დანიშვნა და შეტყობინება წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ წარმოებს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება გაგზავნილ უნდა იქნას „საზოგადოების“ მისამართზე - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ა. კალანდაძის ქ. №4, ან „საზოგადოების“ ელექტრონულ ფოსტაზე - info@greenig.ge ან გენერალური დირექტორის ელექტრონულ მისამართზე — r.rukhadze@greenig.ge.

„კრებაში“ მონაწილეობის უფლება და თქვენს ხელთ არსებული ხმის უფლების მქონე აქციათა რაოდენობა სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით შეგიძლიათ შეამოწმოთ „საზოგადოების“ იურიდიულ მისამართზე: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ა. კალანდაძის ქ., №4 / „საზოგადოების“ აქციათა რეგისტრატორთან: სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეგისტრატორი, მისამართზე: საქართველო, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №74ა, ტელ. 2225351.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 192-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აქციონერს უფლება აქვს მოსთხოვოს „საზოგადოებას“ აქციონერთა საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის, მისი კუთვნილი აქციების და ხმათა რაოდენობის დადასტურების გაცემა.

„კრებაში“ მონაწილეობის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ გაეცნონ ინფორმაციას (მასალებს) 2026 წლის 5 მარტიდან 2026 წლის 27 მარტამდე, „საზოგადოების“ მისამართზე: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ა. კალანდაძის ქ. №4.

"საზოგადოების“ წესდების მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შეტყობინება აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ ქვეყნდება მარეგისტრირებელი ორგანოს ელექტრონულ პორტალზე, საერთო კრების ჩატარების თარიღამდე არაუგვიანეს 21 დღით ადრე.

**დღის წესრიგში შემავალი საკითხების გადასაწყვეტად საჭირო ხმათა რაოდენობა:**

კრების უფლებაუნარიანობა განისაზღვრება წესდების 7.22. პუნქტის შესაბამისად, თუ კრებას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციების ნახევარზე მეტის მფლობელი აქციონერები (აქციონერი).

**დღისწესრიგში ცვლილების შეტანის წესი:**

1. კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, საერთო  კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს და:

ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;

ბ) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა იწვევს საერთო კრების იმ დღის წესრიგში ცვლილების შეტანას, რომელიც უკვე მიეწოდა აქციონერებს, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციონერებს საერთო კრების სააღრიცხვო დღემდე მიაწოდოს განახლებული დღის წესრიგი ამ კანონის 189-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით. თუ საერთო კრების განახლებული დღის წესრიგის აქციონერებისთვის მიწოდების ვალდებულება სააღრიცხვო დღის შემდეგ წარმოიშობა, იგი მიწოდებული უნდა იქნეს საერთო კრების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა აქციონერებს საშუალება ჰქონდეთ, დანიშნონ წარმომადგენლები ან ხმა მისცენ წერილობით.

3. ხმის უფლების მქონე აქციათა სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს, წარადგინოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად, ხოლო მართვის მონისტური სისტემის შემთხვევაში – სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრად ასარჩევ პირთა კანდიდატურები, თუ იგი რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების დღემდე სულ მცირე 14 დღით ადრე წარუდგენს სათანადო განცხადებას/წინადადებას ხელმძღვანელ ორგანოს. ეს წინადადება უნდა შეიცავდეს აღნიშნული კანდიდატებისთვის კანონით დადგენილ საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

4. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელმა ორგანომ შეთავაზებული საკითხი შესაბამისი განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა შეიტანოს საერთო კრების დღის წესრიგში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვეულია განცხადების წარდგენის ვადა ან საკითხი არ განეკუთვნება საერთო კრების კომპეტენციას. საერთო კრების დღის წესრიგში შესატანი ცვლილების, აგრეთვე აქციონერის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილების პროექტის მიმართ

შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება გამოქვეყნების შესახებ ამ კანონის 189-ე მუხლით დადგენილი წესები.

5. საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის შეტანის შესახებ აქციონერთა განცხადებაზე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით დღის წესრიგში საკითხის დამატების უფლებამოსილება. შესაბამისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს ხარჯები ეკისრება სააქციო საზოგადოებას.

6. საერთო კრების დღის წესრიგი საერთო კრებაზე შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კრებას ყველა აქციონერი ესწრება. საერთო კრების დღის წესრიგში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევით შეტანილ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.

**აქციონერის უფლება ინფორმაციაზე**

1. საერთო კრების მიმდინარეობისას საერთო კრების მონაწილე აქციონერს უფლება აქვს, მისი დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს/პირებს დაუსვას შეკითხვები და მოსთხოვოს ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია.

2. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია აქციონერის შეკითხვებს უპასუხოს და მას მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მიაწოდოს.

3. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს, აქციონერს უარი უთხრას მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე, თუ:

ა) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამ სააქციო საზოგადოებას შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს;

ბ) შესაბამისი ინფორმაციის გაცემით კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნდება;

გ) დასმულ შეკითხვას პასუხი საერთო კრების დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე კითხვა-პასუხის ფორმატით აქვს გაცემული.

4. თუ საერთო კრების დაწყებამდე სააქციო საზოგადოებამ თავისი ინიციატივით რომელიმე აქციონერს, აქციონერის სტატუსიდან გამომდინარე, მიაწოდა ინფორმაცია, იგივე ინფორმაცია უნდა მიეწოდოს საერთო კრების მონაწილე ყველა სხვა აქციონერს, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ინფორმაცია საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განსახილველად აუცილებელი არ არის.

5. ინფორმაციის მიწოდებაზე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება საერთო კრების ოქმის შედგენიდან 15 დღის ვადაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

6. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს აქციონერის მოთხოვნას, აქციონერს მოთხოვნილი ინფორმაცია საერთო კრების გარეშეც მიეწოდება. სააქციო საზოგადოებამ იგივე ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ყველა სხვა დაინტერესებული აქციონერისთვის.

პატივისცემით,

"სს გრინ დაზღვევა საქართველო"-ს

გენერალური დირექტორი

რუსუდან რუხაძე

Rusudan Rukhadze 01005005961

Digitally signed by Rusudan Rukhadze
Date: 2026.03.05 17:22:29

**სააქციო საზოგადოება "სს გრინ დაზღვევა საქართველო"-ს აქციონერთა მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ**

**დანართი N 1**

ქ. თბილისი 27.03.2026

**საქართველო**

**სააქციო საზოგადოება**

**"სს გრინ დაზღვევა საქართველო" (ს/ნ 404990435)**

**საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ა. კალანდაძის ქ. №4**

**სააქციო საზოგადოება "სს გრინ დაზღვევა საქართველო"-ს აქციონერთა მორიგი საერთო კრების ოქმი**

**2026 წლის 27 მარტს 12 საათზე, თბილისში, საბურთალოს რაიონში, ა. კალანდაძის ქ. №4-ში შედგა "სს გრინ დაზღვევა საქართველო" (ს/ნ 404990435) იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ა. კალანდაძის ქ. №4 მორიგი აქციონერთა საერთო კრება. საერთო კრებაზე მოწვეული იყო** 10 051 059 ცალი ხმის უფლების მქონე აქცია (33 151 059 ხმა).

1. კრების გახსნამდე არსებული საორგანიზაციო და სხვა ტექნიკური საკითხები გადაწყვეტა.

1.1 დამწრეთა რეგისტრაცია და იდენტიფიკაცია.

კრებისათვის აქციონერთა და სხვა დამსწრე პირთა იდენტიფიკაციას, მათი უფლებამოსილებების ვერიფიკაციას და კრების მონაწილედ შესაბამისად მათ რეგისტრაციას აორციელებენ: _____

რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის პროცესი დაიწყო 11:30 საათზე და დასრულდა 12:00 საათზე.

1.1.1. კრებას ესწრებოდნენ შემდეგი აქციონერები

რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის შედეგად დადგინდა, რომ კრებაზე დასასწრებად გამოცხადდნენ შემდეგი აქციონერები, რომლებიც საერთო კრების სააღრიცხვო დღეს _____ შესაბამისად ირიცხებოდნენ კომპანიის აქციონერებად სს ,,საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტართან“.

1 _____ფლობს ____ ცალ აქციას ____%

2. _____ ფლობს ___ ცალ ჩვეულებრივ აქციას ____%

ჯამურად საეთო კრებაზე წარმოდგენილი უფლებამოსილ აქციათა რაოდენობა: ____ ცალი.

2. საერთო კრების ჩატარების და ხმის მიცემის ფორმა

საერთ კრება ჩატარდა **"სს გრინ დაზღვევა საქართველო" (ს/ნ 404990435) მისამართზე (იურიდიული რეგისტრირებული მისამართი) - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ა. კალანდაძის ქ. №4**

**ხმის მიცემა განხორციელდა ზეპირი ფორმით, ღია კენჭისყრის საფუძველზე.**

**3. დღის წესრიგი**

1. საზოგადოების წლიური შედეგების და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა
2. 2026 წლის 6 თებერვალს გამართულ კრებაზე განხილული და დამტკიცებული დივიდენდის ოდენობების დაზუსტება საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

4. საერთო კრებას წარედგინა შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) კომპანიის წესდება

ბ) აქციონერთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები

გ) სააქციო საზოგადოების წლიური ანგარიში

დ) სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიში

ე) მოგების გამოყენების შესახებ წინადადება

ვ) 2026 წლის 6 თებერვალს გამართული კრების ოქმი

5. დღის წესრიგში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით აქციონერების მიერ მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები

1 საკითხი:

აქციონერთა კრების მიერ განხილულ იქნა წლიური შედეგები, წლიური ანგარიში და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ანგარიში და მიჩნეულ იქნა დამაკმაყოფილებლად სამეწარმეო საქმიანობისათვის. დამტკიცდეს წმინდა მოგების გამოყენების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ წარდგენილი, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მოწონებული წინადადება. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა იქნეს მოწონებული.

2 საკითხი:

2026 წლის 6 თებერვალს გამართულ კრებაზე იურიდიული პირი აქციონერებისათვის მისაცემი დივიდენდის ოდენობა დაანგარიშებული იყო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გამოკლებით. შემოსავლების სამსახურში გავლილი კონსულტაციების საფუძველზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლის

მიხედვით, იურიდიულ პირზე დივიდენდი გაიცემა მოგების გადასახადის დაქვითვის გარეშე, თუ დივიდენდის მიმღები პირი რეზიდენტი იურიდიული პირია, ესტონურ მოდელზეა და არ არის გათავისუფლებული მოგების გადასახადისაგან. ამდენად, კომპანიის აქციონერებზე, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირებს და აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, 2026 წლის 6 თებერვლის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმით განსაზღვრული გასაცემი დივიდენდის ოდენობა უნდა დაკორექტირდეს და განისაზღვროს შემდეგი ოდენობებით:

სს „მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია“ (ს/კ 404392359) – წილი 97.2037% - 695, 989 ლარი

სს „მეტრო ატლას ჯორჯია“ (ს/კ 445406631) – წილი 1.7909% - 132,577 ლარი

სს „მეტრო ქონსტრაქშენ“ (ს/კ 445464970) - წილი 0.9949% - 73,654 ლარი

დამსწრეთა __% - __ხმა - დადებითი

დამსწრეთა __% - __ხმა - უარყოფითი

დამსწრეთა __% - __ხმა - თავი შეიკავა

საერთო კრების თავმჯდომარე:

_____

ხელმოწერა: _____